სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N15

დ.ხულო

11 მარტი 2022 წელი

ერთის მხრივ ააიპ ხულოს მუნიციპალური სერვისი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი შავაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „CEBER" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ჯემალ გოგიტიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-10 მუხლის თანახმად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით,საკუთარი წესდებით მინიჭებული უფლებათა ფარგლებში, ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე;

1. ხელშეკრულების ობექტი

1.1. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეტანა ნაგავსაყრელზე-90500000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს (1 m^3 x 3ლარი) 4000 (ოთხიათასი) ლარი .

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხეშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევასთან დაკავსირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

3.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

3.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული საქონლის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

3.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

3.2.1. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება.

3.2.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3.2.3. თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გადაცემული საქონლის ხარისხის შემოწმება.

3.2.4. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს გაწეული მომსახურეობის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურეობა.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურეობასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

4..3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურეობიდან.

4.4. გაწეული მომსახურეობასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს" მომსახურეობის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

4.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

4.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

4.1. „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელოს კონტროლი მომსახურეობის გაწევაზე. რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი;

5.3. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

5.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

5.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

6. მომსახურების მოწოდების პირობები

6.1 მომსახურეობა ხორციელდება 2022 წლის 11 მარტი 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს დიმიტრი შავაძე

7.2.შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საბოლოო შემოწმების შემდეგ.

8. ანგარიშსწორება

8.1 შემსყიდველი მიმწოდებელს მომსახურეობის ღირებულებას აუნაზღაურებს . უნაღდოდ ანგარიშსწორებით, ლარებში. ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დრის ვადაში.

8.2 ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები;

-წერილობითი მოთხოვნა

-ანგარიშ -ფაქტურა (სპეცანგარიშ-ფაქტურა,სასაქონლო ზედნადები)

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით,

ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით,

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის

გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

„შემსყიდველი":	„შემსრულებელი"
„აიპ ხულოს მუნიციპალური სერვისი" *დაბა ხულო აღმაშენებლის ქ.#3* *ს/ვ 448053007* *სახელმწიფო ხაზინა* *ანგ.#743227015* *ბ/ვ TRESGE22* *დირექტორი* *დიმიტრი შავაძე*	*შ.პ.ს „CEBEP"* მისამართი: ქ. ბათუმი კახაბერი, აეროპორტის გზატკეცილი №251 საბანკო რეკვიზიტები *სს თიბსი ბანკი* ბანკის კოდი*№ TBCBGE22* ანგარიშის NGE89TB7871936080100002GEL საიდ.კოდი *404396113* დირექტორის მინდობილი პირი ჯემალ გოგიტიძე

KHULO MUNICIPAL SERVICE

Digitally signed by KHULO MUNICIPAL SERVICE
Date: 2022.03.14 09:35:11 +04'00'